



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# ინფორმაცია თვის მიმოხილვა

---

2024

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


# ინფლაცია

2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.4% შეადგინა, ხოლო ნოემბერთან შედარებით ფასები 0.1%-ით გაიზარდა.

დაბალ ინფლაციას, ერთი მხრივ, ადგილობრივი ინფლაციის კლებადი ტენდენცია განაპირობებს, რაც მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგია. ამავდროულად, მსოფლიოში სურსათის ფასების კლების ტენდენცია მეცნილად გრძელდება. ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მყარ პოზიციას ინარჩუნებს. ეს კი საგარეო შოკების ეცაპობრივ მილევასთან ერთად იმპორტირებული ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას ხელს უწყობს.


დეკემბერსა და იანვარში წითელ ზღვაში არსებულმა დაძაბულობამ საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასები მკვეთრად გაზარდა. ამ ფაქტს ჯერჯერობით საქონლის ფასებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ტრანსპორტირების ფასების შემდგომი ცვლილება წითელ ზღვაში მიმდინარე კონფლიქტის ხანგძლივობასა და ინტენსივობაზე იქნება დამოკიდებული.

თვის ინფლაცია 0.1% (წვლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 0.4% (წვლილი)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

დეკემბერში ნოემბერთან შედარებით, სამომხმარებლო კალათაში ფასები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. წლიურ ტრილში აღსანიშნავია სურსათის 3.1%-ით გაიფება, რამაც ინფლაცია 1.0 პპ-ით შეამცირა. სურსათიდან გამოსარჩევია მზესუმზირის ზეთის, პურის, კარცოფილის და იმერული ყველის გაიფება, რამაც დეკემბერში ინფლაცია ჯამურად 1.4 პპ-ით შეამცირა. ძროხის ხორცის გაძვირებამ კი ინფლაცია 0.4 პპ-ით გაზარდა. ამდენითვე გაზარდა ინფლაცია საბანკო მომსახურების გაძვირებამ. დეკემბერში ბენზინის ფასმა თვიურად ოდნავ იკლო, თუმცა გასული წლის დეკემბრის ფასს 9.7%-ით გადააჭარბა და ინფლაცია 0.4 პპ-ით გაზარდა.


საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეცის ფასებს გამორიცხავს 1.9% შეადგინა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციის კლება გრძელდება, რაც მეცნილად სურსათის ფასების წლიურ გაიფებას და ზოგიერთ მომსახურებაზე (ბინის ქირა, სამედიცინო მომსახურება და ა.შ) საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია დეკემბერში 3.6%-მდე შემცირდა. სურსათის ფასების წლიური შემცირება შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასების ინფლაციის შემცირებაზეც აისახება. იმპორტირებული პროდუქტების დეფლაცია მცირდება (-0.2%) და ამის მიზეზი პირველ რიგში საწვავის ფასების ზრდა და საბაზო ეფექტია.

შედარებით მაღალ ადგილობრივ ინფლაციას წლიურად გაძვირებული მომსახურება (6.6%) განაპირობებს. მომსახურების წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 3.6 პპ-ია, შესაბამისად, მომსახურების გამოკლებით ადგილობრივი ინფლაცია ნულის ცოლია. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში ყველაზე მაღალი წვლილი საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.5 პპ მომსახურების ინფლაციაში) აქვს.

**იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში**



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2023 წლის წონები	დეკ23/ნოე23		დეკ23/დეკ22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.1%	0.1%	0.4%	0.4%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	0.9%	0.3%	-2.7%	-0.9%
სურსათი	30.9%	0.9%	0.3%	-3.1%	-1.0%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.6%	0.0%	-8.0%	-0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	-0.2%	0.0%	5.6%	0.4%
თევზი	0.5%	-2.8%	0.0%	-0.1%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	1.5%	0.1%	-3.3%	-0.2%
ზეთი და ცხიმი	2.6%	-1.8%	0.0%	-19.2%	-0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	3.3%	0.1%	17.3%	0.3%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	5.1%	0.1%	-9.8%	-0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-0.1%	0.0%	-3.1%	-0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	1.3%	0.0%	-1.8%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.0%	0.0%	2.4%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	-0.4%	0.0%	3.4%	0.2%
დანსაცემელი და ფეხსაცემელი	4.0%	-1.1%	0.0%	0.1%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	-0.2%	0.0%	2.3%	0.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	-0.9%	0.0%	-3.3%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	-0.2%	0.0%	-3.8%	-0.4%
ტრანსპორტი	12.3%	-0.2%	0.0%	5.1%	0.6%
კავშირგაბმულობა	3.6%	0.0%	0.0%	-2.3%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	-0.4%	0.0%	-1.6%	-0.1%
განათლება	4.4%	0.0%	0.0%	3.6%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	-0.3%	0.0%	6.4%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	-0.1%	0.0%	10.1%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	0.2%	0.1%	-1.4%	-0.9%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	-0.7%	-0.1%	-1.6%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.1%	0.0%	-3.6%	-0.2%
მომსახურება	24.4%	0.0%	0.0%	6.6%	1.6%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


ნოემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.5 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 574.9 მლნ ლარით გაიზარდა) და 50.2 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 17.7%-ით გაიზარდა, მეცნილად ეროვნული ვალუდის დეპოზიტების მატების გავლენით. ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუდის სადეპოზიტო ვალდებულებები 13.2 მლნ ლარით (0.1%-ით) გაიზარდა და 24.6 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, მიმდინარე ანგარიშების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუდის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 548.9 მლნ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 443.9 მლნ ლარით შემცირდა.

## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 6.6% შეადგინა. ეროვნული ვალუდით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 8.5%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 1.8% შეადგინა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.6% შეადგინა, ხოლო აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 2.6%-მდე გაიზარდა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით, 1.3%-მდე, შემცირდა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუდების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუდის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 50.8% შეადგინა. ნოემბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით 67.0%-მდე შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით 39.7%-მდე შემცირდა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით 62.7%-მდე გაიზარდა.

**დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 16.3%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემბმა წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით მოიმადა. ნოემბერში, ლარით დაკრედიტება წლიურად 16.0%-ით, 27.9 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.8 პპ-იანი წვლილი შეიძინა. უცხოური ვალუდის დაკრედიტების ზრდის ცემბი (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) მცირედით შენედა, წლიურად 16.6%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.5 პპ-იანი წვლილი შეადგინა. უცხოური ვალუდის სესხები მეტწილად ბიზნეს სესხებია, რომლის ზრდის ცემბი, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით 9.8%-მდე შემცირდა. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.1 პპ შეადგინა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემბი კვლავ მაღალ დონეზეა და მთლიან სესხების ზრდაში 4.1 პპ-იანი წვლილი შეიძინა.

**სესხების წლიური ზრდის დეტალი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის დეტალი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა და 13.7% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 16.1%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1.2 პპ-ით 8.6%-მდე შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 13.1%-მდე გაიზარდა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.3 პპ-ით შემცირდა და 11.5% შეადგინა. ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 1.2 პპ-ით 9.1%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით 7.6%-მდე შემცირდა.


ნოემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით გაიზარდა და 45.5%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით და 64.4%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია უცვლელია და 28.9%-ის დონეზეა. ნოემბერში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 7.5 მლნ ლარით გაიზარდა და 493.5 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 41.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამოყენებით)**

**ვადაგადაცილებული დავალიანება**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საბარეო სექტორი**


2023 წლის ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 11.1%-ით შემცირდა და 729.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირება იმპორტის კლებას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 7.6%-ით 1,211.5 მლნ აშშ დოლარამდე დაიკლო, ხოლო ექსპორტმა წლიურად 1.8%-ით შემცირდა და 482.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა**

**საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ნოემბერი 2023)**




წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


**იმპორტი - ნოემბერში საქონლის იმპორტი წლიურად 7.6%-ით შემცირდა. საქონლის იმპორტის კლება უმეტესად შუალედური სახის საქონლის იმპორტის შემცირებამ განაპირობა. სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის იმპორტი კი ზომიერად გაიზარდა.** შუალედური სახის საქონლის იმპორტის კლება უმეტესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვნად შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტებისა და ძვირფასი ლითონების მადნების იმპორტმა წლიურად დაიკლო. მეორე მხრივ, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინის, იმუნური შრატებისა და ნავთობის კოქსის იმპორტმა მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლიდან ზრდაში ყველაზე მეტი წვლილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, სამკურნალო საშუალებებისა და შერეული საქონლის იმპორტმა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილების - იმპორტმა წლიურად მცირედით დაიკლო, თუმცა მათი მოცულობა მაინც მნიშვნელოვნად წილს იკავებს მთლიან იმპორტში. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საცვიროთო და სპეციალური დანიშნულების ავტომობილების, ასევე სხვა საფრენი აპარატების შესყიდვებმა განაპირობა. მთლიანობაში, ნოემბერში წლიურად საქონლის იმპორტი რეალურად 8.7%-ით გაიზარდა.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მაღალი წვლილი შეიძლება იყოს რუსეთმა, რაც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობაირებისა და ქვანახშირის ნახევარკოქსის შემოტანის შემცირებას უკავშირდება. სომხეთიდან იმპორტის კლება უმეტესად სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო თურქეთიდან მსუბუქი ავტომობილების, სიგარეტებისა და სიგარეტების შემცირებულმა იმპორტმა განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩილეიდან, სერბეთიდან და ინდონეზიიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვანი კლება. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა ბულგარეთი - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, გერმანია - საცვროთო ავტომობილების და შერეული საქონლის, ხოლო საფრანგეთი - იმუნური შრატების შესყიდვების ზრდის გამო. აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან იმპორტის მატება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაზრდილმა შემოტანამ განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე გამანათებელი მოწყობილობების, ხოლო აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 60% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


ნოემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (27%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ნოემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ნოემბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ნოემბერი, 2023, მლნ აშშ დოლარი)**

მსუბუქი ავტომობილები, 162	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 124	სამკურნალო საშუალებები, 44	ნავთობის აირები, 36
		სატელეფონო აპარატები, 33	გამომთვლელი მანქანები, 18
		საინვესტიციო ავტომობილები, 17	საინვესტიციო ავტომობილები, 17
ფოლადის ნახშირბადიანი ნვლები, 23	შერეული საქონელი, 15	კაკოს შხა პროდუქტები, 13	

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (ნოემბერი, 2023)**




წყარო: საქსტატი

**ექსპორტი - ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 1.8%-ით შემცირდა.** საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად შუალედური საქონლის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, ხოლო სამომხმარებლო საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად მოიმატა. შუალედური საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი (34.7 პპ) სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა შეიძინა, ხოლო ნახევრადამუშავებული ოქროსა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი მცირედით გაიზარდა. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფში მსუბუქი ავტომობილების, სპირტიანი სასმელებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტი წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც მთლიანი ექსპორტის უფრო მეტად კლება შეანელა. აღსანიშნავია, რომ ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და მინერალური წყლების გაყიდვებმა მნიშვნელოვნად მოიმატა. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლიდან სამშენებლო მანქანებისა და დრაქტორების ექსპორტი გაიზარდა, ხოლო გამოთვლელი მანქანებისა და საცვროთო ავტომობილების ექსპორტმა დაიკლო. ნოემბერში საქონლის ექსპორტის მოცულობამ რეალურად 0.9%-ით დაიკლო.




**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)**



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების კლებაში მაღალი წვლილი შეიძლება იყოს რუსეთში ექსპორტის შემცირებამ, რაც მსუბუქი ავტომობილების, ასევე ყურძნის ნაცურალური ღვინოების, მინერალური წყლებისა და ფეროშენადნობების გაყიდვების შემცირებამ განაპირობა, თუმცა ციფრუსებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი წლიურად გაიზარდა. სომხეთში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პერუსა და განაში მინერალური და ქიმიური სასუქების, იტალიაში ახალი და გამხმარი კაკლის გაყიდვების კლება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა. ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მაღალი რეექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვარ-ოქტომბრის მსგავსად, ნოემბერში კვლავ დადებითი იყო. აღსანიშნავია, რომ წინა თვეების მსგავსად, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი კვლავ მაღალი იყო. აზერბაიჯანსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ექსპორტის მატება მსუბუქი ავტომობილების, ხოლო ერაყში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი გაიზარდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 75% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ნოემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (38%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. მაღალი იყო ასევე ყურძნის ნაცურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (17.0 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 82%-ით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე მსხვილფეხა რქოსან საქონელზე, სპირტიან სასმელებზე, დაუმუშავებელ ოქროსა და მინერალურ წყლებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ჯამურად ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ფეროშენადნობების, საცელეფონო აპარატებისა, ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და ტანსაცმლის ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ნოემბერი 2023, მლნ აშშ დოლარი)**

მსუბუქი ავტომობილები, 185	სპირტიანი სასმელები, 23	ყურძნის ღვინოები, 23	
	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 21	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 12	სამკურნალო საშუალებები, 11
		ქიმიური სასუქები, 11	
	თხილი და სხვა კაკალი, 13	დაგაზიანებული წყლები, 9	დაუმუშავებელი ოქრო, 10

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ნოემბერი 2023)**




წყარო: საქსტატი

**ფულადი გზავნილები** - ნოემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 43.8%-ით დაიკლო და 292.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 0.5%-ით 31.3 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


**წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს.** ნოემბერში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 76%-ით, 75 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მალალი ცემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (41.6%-ით). ასევე, რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად (71.3%-იანი ზრდა) გაიზარდა. **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** ნოემბერში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 85.7%-ით და 17.7%-ით. აღსანიშნავია, უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები წინა წლის მინიმალურ დონესთან შედარებით გაზრდილია. **ნოემბერში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (38.2%), რუსეთი (25.7%) და აშშ (13.9%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

**ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (ნოემბერი 2023)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი გზავნილების ზრდა (წლიური ზრდაში ქვეყნების მიხედვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# სავალუტო ბაზარი


ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6909-დან 2.7061-მდე (0.6%-ით), ხოლო ევროს მიმართ 2.8422-დან 2.9190-მდე (2.7%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7129 და 2.9769 შეადგინა. ნოემბერში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7152 იყო, მინიმალური კი - 2.6970.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მარყვობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები თანაბრად იყო გადახრილი.


**ნოემბერში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირისა და ლარის გაუფასურება, შესამჩნევად გამყარდა რუსული რუბლი და ევრო, მცირედით - სომხური დრამი, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.**

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის ნოემბერი; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. ოქლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. ნოემბერში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 2.7%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 15.4%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცვლილებას, წინა თვესთან შედარებით, ნოემბერში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.8%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 1.9%-ით გაუფასურდა.

**ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.**


სავაჭრო პარტნიორთაგან ნოემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, აშშ-ში, აზერბაიჯანსა და ევროზონაში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო სომხეთში - დაბალი. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2023 წლის ნოემბერი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 4<sup>1</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად კონცენტრაცია მცირედით გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.**

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვიურად გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 215.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 11.9 მლნ აშშ დოლარით მეტია, წინა წლის ნოემბერთან შედარებით კი - 21.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 78.4%-ით, ხოლო წლიურად 32.6%-ით გაიზარდა.


ნოემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ<sup>2</sup> გარიგებებით ხდებოდა (99.0%) და 2,430.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 216.4 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული (ხოლო თვიურად კი - 393.7 მლნ აშშ დოლარით). სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 0.6% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინცერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვამ 14.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



**საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ნოემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება შემცირებულია.** საერთო ჯამში, ნოემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 26.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად კი - 52.9 მლნ აშშ დოლარით) და 1,365.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 190.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად კი - 340.9 მლნ აშშ დოლარით) და 1,065.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


ნოემბერში სავალუტო ფორვარდ<sup>3</sup> გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 0.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად 2.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 24.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებზე, იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 8.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების არსებითი ცვლილება არ ყოფილა, წინა თვესთან შედარებით მცირედით გაიზარდა და 5.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდის მიმართულებით სარეზერვო აქტივების საპროცენტო შემოსავლებმა, ხოლო კლების მიმართულებით უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ და მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის სესხის მომსახურებამ, იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მილიონ რუსული დოლარით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

ნოემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავ პერიოდში 20-20 მლნ ლარის ორი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი შემცირდა და ნოემბრის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


ნოემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 210.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ნოემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 60 და 70 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 135.7 მლნ ლარით გაიზარდა და 7,971.3 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 54.3%-ს კომერციული ბანკების, 30.0%-ს ეროვნული ბანკის, 12.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 2.9%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

### სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


### სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი მცირედით შეიცვალა. კერძოდ, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.16 პპ-ით, 9.15%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.19 და 0.02 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 9.27% და 9.25%-ს შეადგენდა. სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, 0.01, 0.10 და 0.07 პპ-ით, და შესაბამისად 8.39%, 8.43% და 8.31% შეადგინა.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის შემოსავლიანობის გრადი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 2,064.7 მლნ ლარით, (წლიურად 1,179.0 მლნ ლარით შემცირდა) 11,114.5 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეცნილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (74.6%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,686.7 მლნ ლარით (25.5%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 378.0 მლნ ლარით (15.5%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 9.80% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით შემცირდა და 2.78% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ნოემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 31.1% ერთ თვემდე ვალიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 67.5% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული აბრეგატები**

ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 294.4 მლნ ლარით (4.3%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.5 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 188.3 მლნ ლარით (2.8%-ით) შემცირდა.


საბანკო სისცემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 97.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა ნოემბრის განმავლობაში 14.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 111.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ნოემბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 352.6 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,082.3 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 101.5 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 270 მლნ ლარით გაიზარდა. აღნიშნულ თვეში ერთთვიანი სესხი არ გაცემულა და შესაბამისად მისი ნაშთი უცვლელია. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 10.6 მლნ ლარით შემცირდა და 136.7 მლნ ლარს შეადგენდა. ნოემბერში, განთავსდა 20 მლნ ლარის და დაიფარა ორი 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატი. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, ნოემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 391.3 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 1,459.5 მლნ ლარს გაუცოლდა.


ნოემბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 727.1 მლნ ლარით გაიზარდა, უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 164.5 მლნ ლარით გაიზარდა, რაც ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატებამ განაპირობა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

